SOCIÉTÉ FRANÇAISE DE PHARMACIE ONCOLOGIQUE ONCOLIEN®

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

MITOTANE - LYSODREN®

რა არის LYSODREN

მოლეკულის აღწერა	აღწერა
მიტოტანი	500 მგ-იანი აბი: თეთრი, გასაყოფი

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, არის ..... მგ/დღეში, ანუ 500 მგ-იანი ..... აბი, რომელიც უნდა მიიღოთ ..... -ჯერ დღეში, ყოველდღე.

უნდა გადაყლაპოთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის, დაღეჭვის ან განზავების გარეშე. უნდა მიიღოთ ფიქსირებულ დროს, ცხიმით მდიდარ საკვებთან ერთად.

დავიწყების ან ღებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

2-დან 3-მდე მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, (ცხიმით მდიდარ) საკვებთან ერთად	
უწყვეტლივ	

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და დააგეგმეთ რეცეპტის განახლება წინასწარ.

გთხოვთ შეინახოთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ და კლინიკურ (სისხლის საერთპ ანალიზის აღება, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის ანალიზის მაჩვენებელს, ღვიძლისა ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციებს, ქოლესტეროლსა და ტრიგლიციდებს).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან თქვენს კვებასთან ურთიერთქმედება

LYSODREN®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებულნი იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ.

მაგალითი: LYSODREN®-თან ერთად მოერიდეთ ოროვანდის, ბოლდოს, კიტრისუნას, გინკგო ბილობას, მდელოს ტკბილას, წითელი სამყურას მიღებას.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	**მომნელებელი სისტემის დარღვევები:** ღებინება, დიარეა, გულისრევის შეგრძნება, მჟავა რეფლუქსი, წონის დაკარგვა **ნევროლოგიური დარღვევები:** უძილობა, თავბრუსხვევა, დაბნეულობა, ჩხვლეტა სხეულის ნაწილებში, მგრძნობელობის დარღვევა **ანალიზების ანომალიები:** ღვიძლის ფუნქციის ანომალია, ქოლესტერინის მომატება (ჰიპერქოლესტერინემია), ტრიგლიცერიდების მომატება (ჰიპერტრიგლიცერიდემია), თეთრი სისხლის უჯრედების შემცირება (ლეუკოპენია), ჰემოგლობინის შემცირება (ანემია), თრომბოციტების შემცირება (თრომბოპენია). **სხვა:** კანის გამონაყარი, დაღლილობა, სისხლდენა, კუნთების დაღლილობა, მგრძნობიარობა და შებერილობა მკერდის არეში **თირკმელზედა ჯირკვლების უკმარისობა**
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო გუნდს?	
გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	**ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები** ტემპერატურა > 38,5 °C ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შრდვისას, დიარეა და სიცხე ერთად **ტრავმა, შოკი** **ჰემორაგიის მაჩვენებელი სიმპტომები** სისხლი განავალში ან ღებინების შემთხვევაში. ჰემატომები(ჩალურჯებები), ცხვირიდან სისხლდენა **საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები** თუ დიდი რაოდენობით დაკარგეთ წონა და/ან სწრაფი და ძალიან ხშირი დიარეა გაქვთ და 4-ზე მეტზე გადიხართ კუჭში ინტენსიური ტკივილი მუცლის არეში შეუძლებლობა დალიოთ 24 საათის განმავლობაში და/ან მიიღოთ საკვები 48 საათის განმავლობაში **ნევროლოგიური დარღვევები** მოძრაობისა და კოორდინაციის დარღვევები არანორმალური შეგრძნებები, როგორიცაა ჩხვლეტა და წიწკვნა, მეხსიერების დაკარგა, სირთულე კონცენტრირებისა და მეტყველების დროს. თავბრუსხვევა **თირკმელზედა ჯირკვლების უკმარისობა** დაღლილობა, ტკივილები მუცლის არეში, გულისრევა, დიარეა, დაბნეულობა
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
თირკმელზედა ჯირკვლების უკმარისობა	გადაუდებელ შემთხვევაში, სამედიცინო ჯგუფმა უნდა იცოდეს, რომ თქვენ მკურნალობთ LYSODREN®-ით. 
წონა	**გაიკონტროლეთ** რეგულარულად წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს
სისხლდენა, სისხლჩაქცევები	**მოერიდეთ** ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღებას(იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) **გააფრთხილეთ** თქვენი ექიმი: თუ მოიხმართ *ანტიკოაგულანტებს* და *თრომბოციტურ ანტიაგრეგანტებს*: აუცილებელია განსაკუთრებული მეთვალყურეობა *ქირურგიული* ან *სტომატოლოგიური ჩარევისას*
დაღლილობა	**ამჯობინეთ** ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, მებაღეობა, ცურვა, ველოსიპედით გადაადგილება, სპორტი და ა.შ. **ჩაანაცვლეთ** აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის

კანის მოვლა	*ჰიგიენისთვის* **უპირატესობა მიანიჭეთ** რბილ საპონსა და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. **მოერიდეთ** ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. *მზისგან დასაცავად* **გამოიყენეთ** მზის დამცავი კრემი და **მოერიდეთ** მზეზე გასვლას.
ანტიკანცეროგენული მედიკამენტის მანიპულაცია	**ნუ** შეეხებით კანით კაფსულებს ატარეთ ხელთათმანები და დაიბანეთ ხელები მანიპულაციის შემდეგ.
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
გულისრევის შეგრძნება	**უპირატესობა მიანიჭეთ** ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. **შეზღუდეთ** ცხიმიანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
დიარეა	**უპირატესობა მიანიჭეთ** დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია, მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. **არ მიირთვათ** უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. **დალიეთ** წყალი დიდი რაოდენობით.
წონის დაკარგვა	**უპირატესობა მიანიჭეთ** უფრო კალორიულ საკვებსა და „გემრიელ კვებას“.

SFPO-ს ონკობმული ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution - გაზიარება იგივე პირობებში ლიცენზიის პირობების შესაბამისად 4.0 International .
ემყარება შემდეგ ნაშრომს https://oncolien.sfpo.com.
ამ ლიცენზიის გარეთ ავტორიზაციის მოპოვება ხდება შემდეგ ბმულზე https://www.sfpo.com
საფრანგეთის ონკოლოგიური ფარმაციის საზოგადოება – ქიმიოთერაპიის გაცემის დახმარების ფურცელი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის